585 |3
1949

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10—11 (23—24) ივლისი—აგვისტო 1949 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

83. საქართველოს სსრ მარნეულის რაიონის აშაღასარალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

84. საქართველოს სსრ დმანისის რაიონის დასახლებული პუნქტების გადარქმევისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

85. საქართველოს სსრ ორჯონიკიძის რაიონის დაბა ხარაგაულის დაბა ორჯონიკიძედ გადარქმევის შესახებ.

86. საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის ბარის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

87. ბათუმის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

88. ბათუმის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

89. ალექსანდრა, თამარ, ზინაიდა და ნინო იშხნელებისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

90. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის გამოცემის შესახებ.

91. საქართველოს სსრ ზოგიერთი დასახლებული ადგილის გაუქმების შესახებ.

92. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისათვის პროფესორ ნ. ი. მახვილაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

93. ე. ლ. თათუზოვის, დ. ა. თუხარელის, ლ. ი. კალმახელიძის, ი. ა. ყაველაშვილის და დ. გ. ხანთაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

94. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების № საბადრაგო პოლკის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

95. ქალაქ თბილისის ფარგლებში სოფლების: წყნეთის, ბაგების, კოჯრის, ტაბახმელას, წავკისის, შინდისის, გლდანის, სოღანლუღისა და დელისის ტერიტორიის შეტანის შესახებ.

96. შ. მ. ლეკვეიშვილისა და თ. ე. წერუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

97. საქართველოს სსრ ზოგიერთ სასამართლო უბანში სახალხო მოსამართლეების არჩევნების შესახებ.

98. უფლებამოსილების ვადამდე გასული სახალხო მოსამართლის მაგიერ სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების ვადების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

83. საქართველოს სსრ მარნეულის რაიონის აშაღასარალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიული ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გამოეყოს მარნეულის რაიონის აშაღასარალის სასოფლო საბჭოს სოფლები: შულავერი, დაშთაფა, იმირი, ყირმიზქენდი, ბუდიონოვკა, ქვემო ყულარი, ზემო ყულარი, ყულარის ღვინის საბჭოთა მეურნეობისა და ცხენსაშენი ქარხნის № 73 ტერიტორია და შეიქმნას მათგან შულავრის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ შულავერში.

2. აშაღასარალის სასოფლო საბჭოს ეწოდოს მისი ცენტრის მიხედვით არაფლოს სასოფლო საბჭო და მიეკუთვნოს მას სოფლები: არაფლო, ახლიმამუდლო, ენიქენდი, კირიხლო, აშაღასარალი, ზემო სარალი და სეიდხოჯალო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 12 ივლისი.

84. საქართველოს სსრ დმანისის რაიონის დასახლებული პუნქტების გადარქმევისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიული ცვლილების შესახებ

1. ეწოდოს დმანისის რაიონის ყალამშის სასოფლო საბჭოს სოფლებს: ყალამშას—სოფელი განთიადი, მიჯას—სოფელი ჯავახი, ხოლო ყალამშის სასოფლო საბჭოს—განთიადის სასოფლო საბჭო;

კაშკათალის სასოფლო საბჭოს სოფლებს: კაშკათალას—სოფელი საკირე, ჯარაიორს—სოფელი გორა, ხოლო კაშკათალის სასოფლო საბჭოს—საკირეს სასოფლო საბჭო;

დემირბულახის სასოფლო საბჭოს სოფლებს: დემირბულახს—სოფელი სარკინეთი, ამბარლოს—სოფელი განახლება და ქეივან-ბულგასონს — სოფელი ველისპირი, ხოლო დემირბულახის სასოფლო საბჭოს—სარკინეთის სასოფლო საბჭო;

ოროზმანის სასოფლო საბჭოს სოფლებს: არმუთლოს—სოფელი პანტიანი, ყარაქლისს—სოფელი ვაკე და მამუთლოს—სოფელი მთის-ძირი.

დიდი დმანისის სასოფლო საბჭოს სოფელს გორუნჯუკს—სოფელი მაშავერა;

ყარაბულახის სასოფლო საბჭოს სოფელს ბუსუკალას—სოფელი ქარიანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომარეთის სასოფლო საბჭოს სოფლებს: მამლოსოფელს—მამულა და ქართველების კაკლიანს—სოფელი კაკლიანი.

2. გამოეყოს დმანისის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სოფლები: ყიზილქილისა, შინდლარი, აზერბაიჯანული კაკლიანი, ხოლო საჯის სასოფლო საბჭოს—სოფელი ორმაშენი და შეიქმნას მათგან ყიზილქილისას სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ყიზილქილისაში;

3. გამოეყოს დმანისის რაიონის დმანისის სასოფლო საბჭოს სოფლები: კამარლო და შახმარლო, ხოლო ყარაბულახის სასოფლო საბჭოს—სოფელი ქარიანი და შეიქმნას მათგან კამარლოს სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ კამარლოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 12 ივლისი.

85. საქართველოს სსრ ორჯონიკიძის რაიონის დაბა ხარაგაულის დაბა ორჯონიკიძედ გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ ორჯონიკიძის რაიონის ცენტრის სახელწოდების რაიონის სახელწოდებასთან შეთანხმების მიზნით, ორჯონიკიძის რაიონის რაიონულ ცენტრს დაბა ხარაგაულს ეწოდოს დაბა ორჯონიკიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ა. ჯანელიძე.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 21 ივლისი.

86. საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის ბარის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

გამოეყოს ქლუხორის რაიონის ახალშენის სასოფლო საბჭოს სოფლები: ბარი, შუქურა, ზემო ხიდისკარი, ქვემო ხიდისკარი და შეიქმნას მათგან ბარის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბარში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ა. ჯანელიძე.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 21 ივლისი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

87. ბათუმის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბათუმის სახელმწიფო დრამატიული თეატრის დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება:

1. მეგრელიძეს ხასან დურსუნის-ძეს—არტისტს,
2. თეთრაძეს ნინო ილიას ასულს —არტისტს,
3. მგელაძეს აკაკი დიომიდეს-ძეს —არტისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ა. ჯანელიძე.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 27 ივლისი.

88. ბათუმის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბათუმის სახელმწიფო დრამატიული თეატრის დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აფხაზავა ლილია მიხეილის ასული —არტისტი,
2. გარნელი-დარჩია ალექსანდრა გაბრიელის ასული —არტისტი,
3. დოლონაძე გალაქტიონ იუსტინეს-ძე —არტისტი,
4. ინწკირველი პავლე ივსიხის-ძე —არტისტი,
5. ინასარიძე შალვა ტროფიმეს-ძე —რეჟისორი,
6. კობალაძე იუსუფ ომერის-ძე —არტისტი,
7. მრავლაძე გიორგი კონსტანტინეს-ძე —რეჟისორი,
8. სვანიძე ლავრენტი ივანეს-ძე —არტისტი,
9. ჩხაიძე ვახტანგ ანტონის-ძე —არტისტი,
10. ცენტერაძე გიორგი გიორგის-ძე —მხატვარი,
11. ხინიკაძე მურად მემედის-ძე —არტისტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ა. ჯანელიძე.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 27 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89. ალექსანდრა, თამარ, ზინაიდა და ნინო იშხნელებისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ხალხური სიმღერების მუსიკალური შესრულებისა და პოპულარიზაციის დარგში ხანგრძლივი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. იშხნელს ალექსანდრა ალექსანდრეს ასულს,
2. იშხნელს თამარ ალექსანდრეს ასულს,
3. იშხნელს ზინაიდა ალექსანდრეს ასულს
4. იშხნელს ნინო ალექსანდრეს ასულს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ა. ჯანელიძე.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 27 ივლისი.

90. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის გამოცემის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გამოიცეს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი ქართულ და რუსულ ენაზე—ტირაჟით:

ქართულ ენაზე—2.000 ეგზემპლარი და რუსულ ენაზე—500 ეგზემპლარი.

2. დაევალოს სახელგამს (ამხ. კიკნაძეს) უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის გამოცემა 1949 წლის დამლევამდის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 2 აგვისტო.

91. საქართველოს სსრ ზოგიერთი დასახლებული ადგილის გაუქმების შესახებ

1. მოსახლეობის სხვა ადგილზე გადასვლის გამო გაუქმდეს შემდეგი სოფლები და სასოფლო საბჭო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ადიგენის რაიონში: ვარხნის სასოფლო საბჭოს სოფელი ჭიხელი; ზედუბნის სასოფლო საბჭოს სოფლები გუგუნაური და კორტოხი; მოხის სასოფლო საბჭოს სოფლები ღაღვი და კუჭაური; უდის სასოფლო საბჭოს სოფელი ხურო; წახნის სასოფლო საბჭოს სოფლები ჩურჩუტო და თუთაჯვარი; ჭეჭელის სასოფლო საბჭოს სოფელი საირმე; გოდერძის ყოფილი სასოფლო საბჭოს სოფლები გოდერძი, უთხის უბანი და ქაცარაული; ზაზალოს ყოფილი სასოფლო საბჭოს სოფლები ზაზალო, ზემო წყისე და ქვემო წყისე; მარელის ყოფილი სასოფლო საბჭოს სოფლები მარელი, ხონა და ორჭოშანი.

ბ) ასპინძის რაიონში: ასპინძის სასოფლო საბჭოს სოფელი ახალშენი; ერკოტის სასოფლო საბჭოს სოფლები დადეში და ქვემო ვარნეთი; ძველის სასოფლო საბჭოს სოფელი ღობიეთი; რუსთავის სასოფლო საბჭოს სოფლები ფერისხევი და წყალთბილა; ნაქალაქევის სასოფლო საბჭოს სოფლები ანაქეთი, ვერთაყანა, ზედა ვარძია, ჯოლდა და ზედა თმოგვი; ტოლოშის სასოფლო საბჭოს სოფლები ნარიმანი, ალანძია, გელსუნდა, როკეთი, ბნელა და ოსკერია; ოშორის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემო ოშორა და ყამზა; ხერთვისის სასოფლო-საბჭოს სოფლები ალჯუა, კვარშა და შადრევანი;

გ) ახალქალაქის რაიონში: ოკმის სასოფლო საბჭოს სოფლები მირაშხანი და ღართა; ჩუნჩხის სასოფლო საბჭოს სოფელი ქილდა; ხავეთის სასოფლო საბჭოს სოფელი მრაკვალი;

დ) ახალციხის რაიონში: აწყურის სასოფლო საბჭოს სოფელი წრიოხი; მინაძის სასოფლო საბჭოს სოფლები კვალთახევი, ოხერა, ჭალა და ტობა; პამაჯის სასოფლო საბჭოს სოფელი არჯანა; საყუნეთის სასოფლო საბჭოს სოფლები ორფოლა, კოპაძე და ბლორძა; სხვილისის სასოფლო საბჭოს სოფელი ფარეხა; ურავლის სასოფლო საბჭოს სოფელი ორცები; ანდრიაწმინდის სასოფლო საბჭოს სოფელი ღრომა;

ე) ბოგდანოვკის რაიონში: განძნის სასოფლო საბჭოს სოფელი საღამო;

ვ) ორჯონიკიძის რაიონში: ზვარეს სასოფლო საბჭოს სოფელი პატარა ხარაგაული;

ზ) საჩხერის რაიონში: ცხომარეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ყვიჩორი; საჩხერის სადაბო საბჭოს სოფელი კვერეთი; ჭალის სასოფლო საბჭოს სოფლები ქოლევი და ძირულა; ჩონთოს სასოფლო საბჭოს სოფლები ოტრია და კორტოხი;

თ) ტყიბულის რაიონში: ჯვარისის სასოფლო საბჭოს სოფელი ლაშია;

ი) ჩხოროწყუს რაიონში: მუხურის სასოფლო საბჭოს სოფელი ლუგელა; თაიას სასოფლო საბჭოს სოფლები ოცინდალე და ზინდა; ახუთის სასოფლო საბჭოს სოფლები სავეკუო და ლეგერსამე;

კ) წყალტუბოს რაიონში: ქვილიშორის სასოფლო საბჭოს სოფელი მელაური;

ლ) წალენჯიხის რაიონში: ხუდონის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები: ხუდონი, წყავაში, ლეხერა და ფურაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) წულუკიძის რაიონში: ხიდის სასოფლო საბჭოს სოფლები დიდღვაბუნა და ჟუშკო;

ნ) ჭიათურის რაიონში: ჩხირაულის სასოფლო საბჭოს სოფელი დიდი ჩხირაული და გეზრულის სასოფლო საბჭოს სოფელი ზედა გეზრული.

2. გაერთიანდეს შემდეგი სოფლები:

ა) ახალციხის რაიონში: კლდის სასოფლო საბჭოს სოფელი ზეუბანი სოფელ კლდესთან და ეწოდოს სოფელი კლდე, სოფელი ჩოხტა—სოფელ ფერსასთან და ეწოდოს სოფელი ფერსა, ელიაწმინდის სასოფლო საბჭოს სოფელი ყურთუბანი—სოფელ ელიაწმინდასთან და ეწოდოს სოფელი ელიაწმინდა, სოფელი ძირი—სოფელ ანთან და ეწოდოს სოფელი ანი;

ბ) ქარელის რაიონში: მუხილეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვემო შვანო—ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფელ კუდატყესთან და ეწოდოს სოფელი კუდატყე;

გ) ასპინძის რაიონში: ასპინძის სასოფლო საბჭოს სოფელი მლაშიხევი—სოფელ იდუმალასთან და ეწოდოს სოფელი იდუმალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 2 აგვისტო.

92. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისათვის პროფესორ ნ. ი. მახვილაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

მიეკუთვნოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს პროფესორ ნიკოლოზ ივანეს-ძე მახვილაძის სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 19 აგვისტო.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

93. ე. ლ. თათუზოვის, დ. ა. თუხარელის, ლ. ი. კალმახელიძის, ი. ა. ყაველაშვილისა და დ. გ. ხანთაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ

დაშვებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად:

1. თათუზოვი ეფრემ ლევანის-ძე
2. თუხარელი დავით ანდრიას-ძე
3. კალმახელიძე ლუკა ივანეს-ძე
4. ყაველაშვილი ირაკლი ალექსანდრეს-ძე
5. ხანთაძე დომინიკა გრიგოლის ასული.

ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 22 აგვისტო.

94. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების № საბადრაგო პოლკის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების № საბადრაგო პოლკის 25 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ამავე პოლკის შემდეგი სამხედრო მოსამსახურენი:

1. ვერშინკინი ალექსანდრე ვასილის-ძე,
2. ეგოროვი ივანე პეტრეს-ძე,
3. ზარქუა იასონ პორფირეს-ძე,
4. იაკიმოვი ივანე პავლეს-ძე,
5. იალოვოი ნაზარ მიხეილის-ძე,
6. რუხაძე აკაკი კონსტანტინეს-ძე,
7. სვირიდოვი გრიგოლ მიხეილის-ძე,
8. სერდიუკი ალექსანდრე მიხეილის-ძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. სიჩევი პავლე ფილიპეს-ძე,
10. ჩუბაროვი ალექსანდრე ალექსის-ძე,
11. შჩერბინი სტეფანე იაკობის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 27 აგვისტო.

95. ქალაქ თბილისის ფარგლებში სოფლების: წყნეთის, ბაგების, კოჯრის, ტაბახმელას, წავკისის, შინდისის, გლდანის, სოღანლუღისა და დელისის ტერიტორიის შეტანის შესახებ

შეტანილ იქნას ქალაქ თბილისის ფარგლებში სოფლების: წყნეთის, ბაგების, კოჯრის, ტაბახმელას, წავკისის, შინდისის, გლდანის, სოღანლუღისა და დელისის ტერიტორია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 27 აგვისტო.

96. შ. მ. ლეკვეიშვილისა და თ. ე. წერუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ

დაშვებულ იქნან შალვა მიხეილის-ძე ლეკვეიშვილი და თამარ ესტატეს ასული წერუაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

97. საქართველოს სსრ ზოგიერთ სასამართლო უბანში სახალხო მოსამართლეების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სახალხო მოსამართლეების ვადამდე გასვლის გამო სახალხო მოსამართლეების ხელახალი არჩევნები ჩატარდეს ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის პირველი, მესამე და მეშვიდე უბნების, ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის მესამე უბნის, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მეორე, მეოთხე და მეხუთე უბნების, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მეორე უბნისა და ზემო სვანეთის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლეების საარჩევნო ოლქებში.

2. დაინიშნოს სახალხო მოსამართლეების არჩევნები 1949 წლის 2 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 31 აგვისტო.

98. უფლებამოსილების ვადამდე გასული სახალხო მოსამართლის მაგიერ სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების ვადების შესახებ

დაწესდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახალხო მოსამართლე მისი უფლებამოსილების ვადამდე გადის სიკვდილის, ხანგრძლივი ავადმყოფობის, მსჯავრდადებისა ან ამომრჩევლების მიერ უკან გაწვევის გამო, გასულის მაგიერ სახალხო მოსამართლის არჩევნების სამზადისი უნდა დაიწყოს არჩევნების დღემდე ერთი თვით ადრე.

ამის შესაბამისად:

ა) არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა ხდება საარჩევნო პუნქტების შექმნა;

ბ) არჩევნებამდე 20 დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები ამომრჩეველთა სიებს გამოაკრავენ ყველას გასაცნობად;

გ) არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები რეგისტრაციაში ატარებენ სახალხო მოსამართლეების კანდიდატებს; ცნობები რეგისტრირებულ კანდიდატებზე და კანდიდატის წამომყენებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელწოდება ქვეყნდება არა უგვიანეს 12 დღისა არჩევნებამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 31 აგვისტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საredაქციო კოლეგია
გამომცემელი—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ., მთავრობის სახლი.

Ведомости Верховного Совета
Грузинской Советской Социалистической Республики
№ 10—11 (23—24) июль—август 1949 г.
(на грузинском языке)

ИЗДАНИЕ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГССР

ფასი 1 მ. და 50 კაპ.

სტამბის შეკვ. № 1332 ტირაჟი 2100 უე 06341

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат „Комунисти" им. Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 14.